შპს „შენობა-ნაგებობათა კვლევისა და
ექსპერტიზის ცენტრი"
LTD „THE CENTER OF BUILDING RESEARCH
AND EXPERTISE"

თბილისი, თამარ მეფის გამზირი 5ა
Tel: (+995 32227704, E-mail: expertisecnt@gmail.com
Tamar Mefis gam. 5a, Tbilisi, Georgia

20.03.2018 № 08-08-32
თქვ. № _____

ექსპერტიზის დასკვნა

ობიექტის მისამართი: თბილისში, მეფე მირიანის ქუჩა №37ბ-

დასკვნის შედგენის საფუძველი: ხელშეკრულება 01.03.2018 წ

ობიექტის დასახელება: თბილისში, მეფე მირიანის ქუჩა №37ბ- მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის (01.10.08.006.608) პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზა

დაწყებულია: 01 მარტი 2018 წელი

დასრულებულია: 30 მარტი 2018 წელი

ვამტკიცებ,
შენობა ნაგებობათა კვლევის
და ექსპერტიზის ცენტრი
დირექტორი რ.ცხვედაძე
თბილისი
2018 წლის მარტი

ექსპერტიზის დასკვნა

თბილისში, მეფე მირიანის ქუჩა №37ბ-ში, მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის (01.10.08.006.608) პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზა

თბილისი
2018 წელი

შემადგენლობა

1. ინსპექტირების შემსრულებელები- 3
2. გამოყენებული ნორმატიული დოკუმენტები- - - - - - - - - - - - - - - 3
3. გამოყენებული ხელსაწყოები- 4
4. კვლევითი ნაწილი- 5
5. დასკვნა- 7

ინსპექტირების შემსრულებლები

ექსპერტი: *გიგი დანელია*

სამართლებრივად ნაკისრი ვალდებულებებით პასუხისმგებელნი ვართ ინსპექტირება ვაწარმოოთ მიუკერძოებლად, ჯეროვნად ჩავატაროთ კვლევა და დაცვათ ინსპექტირების ჩატარების დროს მიღებული ან წარმოქმნილი ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

ორგანოს ხელმძღვანელის მიერ გაგვეცნობა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს ხისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით.

გამოყენებული ნორმატიული ლიტერატურა

1. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება და მშენებლობის ნებართვის გაცემის წესის და სანებართვო პირობების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება;
2. საქართველოს მთვარობის №71 დადგენილება –„საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები":
   - ტექნიკური რეგლამენტი – „ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები" (დანართი 1);
   - ტექნიკური რეგლამენტი – „შენობებისა და ნაგებობების ფუძეები" (დანართი 2);
   - ტექნიკური რეგლამენტი – „სეისმომედეგი მშენებლობა" (დანართი 3);
   - ტექნიკური რეგლამენტი – „წყალმომარაგების და კანალიზაციის გარე ქსელები და ნაგებობები" (დანართი 4);
   - ტექნიკური რეგლამენტი – „სამშენებლო კლიმატოლოგია" (დანართი 5);
3. СНиП II - 23-81 „Стальные конструкции";
4. СНиП II 21 - 75 „приложение 5".

თბილისში, მეფე მირიანის ქუჩა №37ბ-ში, მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის (01.10.08.006.608) პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზა

კონსტრუქციული პროექტი დამუშავებულია სააროექტო ფირმაში შპს "აიჯეი კონსტრაქშენი"-ში, (დირექტორი ი. ჯანჯღავა, მთ. კონსტრუქტორი ი. ჯანჯღავა).

საექსპერტოდ დამკვეთის მიერ წარმოდგენილია შემდეგი მასალები:

ა) თბილისში, მეფე მირიანის ქუჩა №37ბ-ში, მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის (01.10.08.006.608) კონსტრუქციული პროექტის ნახაზების ელექტრონული ვერსია „პდფ" ფაილები;

ბ) აღნიშნული შენობის კონსტრუქციული პროექტის კომპიუტერული საანგარიშო მოდელის ელექტრონული ვერსია (საანგარიშო კომპლექსი Lira SAPR 2013 ფაილი);

გ) თბილისში, მეფე მირიანის ქუჩა №37ბ-ში, მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის (01.10.08.006.608)

პროექტის კონსტრუქციული ნაწილის მონოლითური რკინაბეტონის მზიდ კონსტრუქციათა ტექნიკური გადაწყვეტები. მათ შორის, საძირკვლის კონსტრუქციები, მონოლითური რკინაბეტონის საძირკვლის ფილის, სვეტების, დიაფრაგმების, კედლების, გადახურვის კონსტრუქციათა სამონტაჟო სქემები, კონსტრუქციების საყალიბე და ბეტონის მზიდი ელემენტების დაარმატურებისათვის საჭირო საშემსრულებლო ნახაზები, მათი არმირებისა და კვანძების გადაწყვეტათა ტექნიკური დოკუმენტაცია.

დ) საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები.

დამკვეთის დავალების საფუძველზე, წარმოდგენილი მასალების მიხედვით შესამოწმებელია, თბილისში, დიდი დიღმის დასახლება'ში, მირიან მეფის გამზ. №37ბ-ში, მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის კომპიუტერული საანგარიშო მოდელი და კონსტრუქციული პროექტი ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად.

შენობის დაფუძნება:

საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევის შედეგად საძირკვლების ფუძე-გრუნტად შერჩეულია თიხნარი, რაც სავსებით გამართლებულია ტერიტორიის გეოლოგიური აღნაგობიდან გამომდინარე, ხოლო საძირკვლად მიღებულია მონოლითური რკინაბეტონის ფილოვანი საძირკველი სიმაღლით 90 სმ-ი. რაც დაერდნობილია =1000მმ სისქის ხელოვნურ ფუძეზე მთლიანად მოხსნილი ნაყარი გრუნტის შემდეგ ხელოვნური ფუძის დატკეპნა ხორციელდება შრეობრივად (250მმ სისქის შრეებით გეოლოგიური დასკვნის შესაბამისად.) სრულ გამყარებამდე. სრული გამყარების მიიღწევა მძიმე სატკეპნი მანქანა- რომლის წონა

განისაზღვრულია არაუმცირეს 50 ტონით. შემკვრივების კოეფიციენტი ტოლია 0.93-ის ბალასტად გამოყენებულია ხრეშოვან-კენჭნაროვანი გრუნტი, რომელიც უნდა

ჩაიტკეპნოს მყარი კონსისტენციის თიხოვან გრუნტში (ფენა 1, 1 ბგე) 30სმ-ის სიღრმეზე.

ხელოვნური ფუძის საანგარიშო წინაღობად მიღებული იქნას 3.0 კგძ/სმ2

შენობის მდგრადობის უზრუნველსაყოფად სტაბილიზაციის, წაცურების და არათანაბარი ჯდენების თავიდან ასაცილებლად მოწყობილია 1000მმ, -10მ კიდული ხიმინჯების ველი.

მზიდი კონსტრუქციების ზოგადი აღწერა:

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით ასაშენებელი შენობა 11 სართულიანია სარდაფის დონის ჩათვლით. შენობა გეგმაში მართკუთხა ფორმისაა ზომებით 13.10 X 19.40 მ. მ. შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით წარმოადგენს მონოლითურ რკინაბეტონის ჩონჩხედს ჩარჩოვან-სივრცული სისტემით, შენობის სართულის მაქსიმალური სიმაღლეა H=3.30 მ; შენობის მაქსიმალური მალი ღერძებში აღწევს L=6.60 მ;

შენობის ძირითადი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების ზომები:

ხიმინჯები: 1000მმ; საძირკვლის ფილა: 900მმ; სვეტები: 600X600მმ; 500X500მმ;

რიგელები: 400X500მმ; რ/ბ-ის დიაფრაგმები: 300მმ; 250მმ; სარდაფის კედლები: 250მმ;

გადახურვა: 180მმ; კიბეები: 180მმ; აბსოლუტურ ნიშნულს: + 471.75მ შეესაბამება პირველი სართულის იატაკის ნიშნული (არქ. +/- 0.00 მ);

მისასალმებელია, რომ პროექტში ცალკე თავებად არის გამოყოფილი კონსტრუქციების საყალიბო სქემები, კონსტრუქციების განშლა ღერძების მიმართ,თითოეული კონსტრუქციული ელემენტის არმირება და კვანძები.

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონებისა და საინჟინრო გეოლოგიური

კვლევების შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მიხედვით დადგენილია, რომ სამშენებლო მოედანი განლაგებულია 8 ბალიანი სეისმური საშიშროების ზონაში. პროექტი შესრულებულია ქვეყანაში მოქმედი შემდეგი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისად:

1) პნ 01.05-08 „სამშენებლო კლიმატოლოგია" 2) პნ 01.01-09 „სეისმომედეგი მშენებლობა" 3) პნ 03.01-09 „ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები" 4) პნ 02.01-08

„შენობისა და ნაგებობის ფუძეები" 5) СНиП 2.01.07.85. «Нагрузки и возде 6) СНиП II-23-81*. «Стальные конструкции» 7) СНиП 2.02.03-85 (1995) Свайные фундаменты.

კომპიუტერული საანგარიშო მოდელის აღწერა:

მთლიანად ნაგებობა როგორც ერთიანი სივრცული კარკასულ-კავშირებიანი სისტემა გაანგარიშებულია სასრულ ელემენტთა მეთოდით მუდმივ და დროებით ვერტიკალურ დატვირთვებზე, აგრეთვე ჰორიზონტალურ 8 ბალიან სეისმურ ზემოქმედებაზე. ანგარიში ჩატარებულია ლიცენზირებული პროგრამული კომპლექსის „Lira sapr 2013"-ის საფუძველზე შპს "ევროპული სახლი"-ს მიერ. საანგარიშო მოდელში სტატიკური და დინამიკური დატვირთვები წარმოდგენილია შემდეგი დატვირთვების სახით:

1. სტატიკური მუდმივი.
2. სტატიკური დროებითი ხანგრძლივი.
3. სტატიკური დროებითი ხანმოკლე. *(სასარგებლო დატვირთვები).*
4. სეისმური ზემოქმედება (სპექტრული მეთოდით) „X„ მიმართულებით.
5. სეისმური ზემოქმედება (სპექტრული მეთოდით) „Y„ მიმართულებით.
6. სეისმური ზემოქმედება (სპექტრული მეთოდით) 45^0 –იანი კუთხის მიმართულებით.
7. სეისმური ზემოქმედება (სპექტრული მეთოდით) 135^0 –იანი კუთხის მიმართულებით.
8. სეისმური ზემოქმედება (სპექტრული მეთოდით) 15^0 –იანი კუთხის მიმართულებით.
9. სეისმური ზემოქმედება (სპექტრული მეთოდით) 165^0 –იანი კუთხის მიმართულებით.

შენობის მზიდი ელემენტების ანგარიშში შესრულებულია ძალვათა ძირითად და განსაკუთრებულ თანწყობაზე. შენობის მაქსიმალური ჰორიზონტალური დეფორმაციები „X„ მიმართულებით და „Y„ მიმართულებით დასაშვებ ფარგლებშია.

ანგარიშით მიღებული შედეგების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ნაგებობა აკმაყოფილებს მდგრადობისა და სიმტკიცის შესაბამისი ნორმატიული დაკუმენტების მოთხოვნებს.

კედლების შევსება, სადაც ნაჩვენებია არქიტექტურულ ნახაზებზე, ხორციელდება ცეცხლმედეგი ბლოკებით, მოცულობითი წონით არაუმეტეს - 1200კგ/მ3 წყობა ყველგან უკავშირდება არმირებით მზიდ კონსტრუქციას ყოველ III რიგში (600-700მმ). იქ სადაც სიმაღლის და სიგანის ფარდობა აღემატება 12-ს ეწყობა შუალედური რკინაბეტონის სარტყელი ბლოკის წყობის სიგანის ფარგლებში.

ოვითმჭიდ ბლოკის კედლებს კარკასთან აქვს მოქნილი კავშირი, რომელიც არ ზღუდავს კარკასის ჰორიზონტალურ გადაადგილებას კედლების გასწვრივ. კედლის ზედაპირსა და კარკასის სვეტებს შორის გათვალისწინებულია არა უმცირეს 20 მმ-ის სიგანის ღრეჩო. მოქნილი კავშირები მთლიანად უნდა იყსებდა ცეცხლმედეგი მასალით.

მისასალმებელია, რომ პროექტში ცალკე თავებად არის გამოყოფილი კონსტრუქციების საყალიბო სქემები, კონსტრუქციების განშლა ღერძების მიმართ, თითოეული კონსტრუქციული ელემენტის არმირება და კვანძები. კონსტრუქციებში მიღებულია ბეტონი კლასით B25 და არმატურა A240 და A500C კლასით.

წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციის მიმართ არ არის შენიშვნები. დაპროექტებული შენობის კონსტრუქციულ ნაწილში გამოსაყოფია და დადებითი შეფასების ღირსია არმატურის და ბეტონის ჯამური სპეციფიკაცია, ამონაკრები საპროექტო დაკუმენტაციიდან,სადაც მოცემულია შენობის თითოეული ელემენტის ასაგებად არმატურის ხარჯი 1 კუბ.მეტრ ბეტონზე, რაც შეესაბამება ნორმატიულ მოთხოვნებს.

დასკვნა:

შპს "აიჯეი კონტრაშენი"-ში, (დირექტორი ი. ჯანჯღავა, მთ. კონსტრუქტორი ი. ჯანჯღავა) დამუშავებული თბილისში, მეფე მირიანის ქუჩა №37ბ-ში, მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის (01.10.08.006.608) პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზა

კომპლექსის პროექტის კონსტრუქციული მუშა ნახაზები შესრულებულია მაღალ ტექნიკურ დონეზე და პასუხობს ქვეყანაში მოქმედ ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს. ნაგებობის ფუძეები, საძირკვლები და შემადგენელი კონსტრუქციული ელემენტების არმირებები შეესაბამება კომპიუტერული საანგარიშო მოდელის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის საფუძველზე მიღებულ არმირებებს და შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ შენობა აკმაყოფილებს მდგრადობის, სიმტკიცის და დეფორმაციის შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი:

პროფესორი, საექსპერტო გამოცდილება 20 წელი,

შრომითი მოღვაწეობის სტაჟი 55 წელი

გივი დანელია

ДИПЛОМ
КАНДИДАТА НАУК

МТН № 050650

Москва 20 февраля 1970 г.

Решением
Совета Тбилисского НИИ сооружений гидротехники
им. А.В. Винтера
от 19 декабря 1969 г. (протокол N 11)

Данелия Гиви Варламовичу

ПРИСУЖДЕНА УЧЕНАЯ СТЕПЕНЬ КАНДИДАТА
ТЕХНИЧЕСКИХ НАУК

Председатель Совета

Ученый Секретарь Совета

АТТЕСТАТ
ДОЦЕНТА

★

МДЦ № 087767

Москва 27 сентября 1974 г.

Решением
Высшей Аттестационной Комиссии
от 12 июня 1974 г. (протокол № 33/25)

Данелия Гиви Важлович

УТВЕРЖДЕН В УЧЕНОМ ЗВАНИИ ДОЦЕНТА
ПО КАФЕДРЕ
механика грунтов, основания и фундаменты

Председатель Высшей Аттестационной Комиссии — Алексин

Ученый Секретарь Высшей Аттестационной Комиссии — Тихомиров

ცნობა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ გიეი დანელიას საექსპერტო საქმიანობის თაობაზე 2006 წლიდან ბოლო 5 წლის პერიოდში ექსპერტიზა შესრულებულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის საინჟინრო-გეოლოგიურ ნაწილში

№	ობიექტის დასახელება	წელი	შემსრულებელი
1	2	3	4
1.	ქ. თბილისი აბაშიძის 34/36 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი	2006	სს „საქქალაქმშენპროექტი"
2.	ქ. თბილისი პუშკინის №3 ბიზნეს ცენტრი	2006	სს „საქქალაქმშენპროექტი"
3.	ქ. თბილისი ჩიტაძის №11 მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი	2006	სს „საქქალაქმშენპროექტი"
4.	ქ. თბილისი აბაშიძის №73 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი	2007	სს „საქქალაქმშენპროექტი"
5.	ქ. თბილისი ბაგები, წყნეთის გზატკეცილი №37 მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი	2007	სს „საქქალაქმშენპროექტი"
6.	ქ. თბილისი რადიანის №13 საცხოვრებელი სახლი	2007	სს „საქქალაქმშენპროექტი"
7.	ქ. ბათუმი ხიმშიაშვილის №20 9-12 სართულიანი საცხოვრებელი სახლი	2008	შპს „აჭარასპეცპროექტი"
8.	ქ. თბილისი ქავთარაძის ქუჩაზე მრავალფუნქციური კომპლექსი	2008	სს „საქქალაქმშენპროექტი"
9.	ქ. თბილისი ბოჭორმის №2 საცხოვრებელი კომპლექსი	2009	სს „საქქალაქმშენპროექტი"
10.	ქ. თბილისი გულიას ქუჩასა და ახალ მაგისტრალს შორის მრავალფუნქციური მრავალსართულიანი შენობა	2009	შპს „საინჟგეო"
11.	ქ. თბილისი კედიას 10 საცხოვრებელი კომპლექსი	2009	სს „საქქალაქმშენპროექტი"
12.	ქ. თბილისი რუსთაველის გამზირზე ერთჯახული გალერეის რეკონსტრუქცია	2009	შპს „მმ პროექტი"
13.	ქ. თბილისი ცოტნე დადიანის №7 საცხოვრებელი კომპლექსი „დ" ბლოკი	2009	სს „საქქალაქმშენპროექტი"
14.	ქ. თბილისი ანაგის ქ. №41 8-9 სართულიანი საცხოვრებელი სახლები	2010	ინ „გურამ ბიძინაშვილი"
15.	ქ. თბილისი ბელიაშვილის ქუჩაზე საავგრო პავილიონი	2010	სს „საქქალაქმშენპროექტი"
16.	ქ. თბილისი საბურთალოს №34 საცხოვრებელი სახლი	2010	სს „საქქალაქმშენპროექტი"
17.	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფ. სუფსის ცემენტის წისქვილი	2010	შპს „ტუოფი"
18.	ქ. თბილისი „ელიტა ბურჯი"-ს ტერიტორიაზე ლითონის კონსტრუქციების საამქრო	2010	შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი"

ექსპერტი, პროფესორი /გ. დანელია/

საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი
ს ა მ შ ე ნ ე ბ ლ ო
ფ ა კ უ ლ ტ ე ტ ი

Georgian Technical
Uviversity
BUILDING
FACULTY

Phone: (995 32) 33 17 87
36 61 01; 36 65 42
Fax: (995 32) 33 17 87

0175, საქართველო, თბილისი, კოსტავას 68,
68, Kostava str., Tbilisi, Georgia, 0175

№ 200

15 06 2011 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორის გივი დანელიასათვის
საპროექტო დოკუმენტაციის კონსტრუქციულ ნაწილზე
ექსპერტიზის ჩატარებაზე უფლების მინიჭების თაობაზე

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 აგვისტოს ბრძანების №1-1/823 "განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობის პროექტების სავალდებულო ექსპერტიზის ჩატარების დროებითი წესის შესახებ" ექსპერტიზის ჩამტარებელ პირებს უნდა გააჩნდეთ შესაბამისი სპეციალობის უმაღლესი საინჟინრო განათლება, ასევე სპეციალობით ნამსახურეობი 10 წლის სტაჟი, აგრეთვე საპროექტო დოკუმენტაციაზე საექსპერტო სამუშაოების შესრულების 5 წლის გამოცდილება.

აღნიშნულ პირობებს სრულად აკმაყოფილებს სამშენებლო ფაკულტეტის სამშენებლო კონსტრუქციების მიმართულების პროფესორი გივი დანელია დანართ №1-ში ჩამოთვლილი 1 და 2 პუნქტების შესატყვისობით, სახელდობრ

- სამოქალაქო და საზოგადოებრივი შენობა ნაგებობები;
- სამრეწველო შენობა-ნაგებობები;

ბატონ გივი დანელიას როგორც სამეცნიერო-პედაგოგიური, ასევე პროექტირების დარგში 45 წლის სტაჟი გააჩნია, რაც კარგად ჩანს მისი ბიოგრაფიული მონაცემებიდან.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი გივი დანელია სამშენებლო ფაკულტეტზე მუშაობს 1970 წლიდან დღემდე გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების კათედრაზე.

1984-87 წლებში მუშაობდა ალჟირის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორად. მანამდე იყო "თბილქალაქპროექტის" ინჟინერ-კონსტრუქტორი, შემდეგ ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკი. იქვე 1970 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია სამშენებლო კონსტრუქციებში. 1974 წლიდან აქვს დოქტორის სამეცნიერო წოდება გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების განხრით.

გარდა სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისა ბატონი გივი დანელია აქტიურადაა ჩაბმული საინჟინრო-საპროექტო საქმიანობაში. თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე მას პირადად შესრულებული აქვს ათობით პროექტი როგორც სამრეწველო, ასევე სამოქალაქო და ჰიდროტექნიკური ობიექტების სახით, მონაწილეობს შენობა-ნაგებობების დაზიანებათა კვლევაში და მათი გამაგრების ღონისძიებების შემუშავებაში.

1988-90 წლებში აქტიურად თანამშრომლობდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს მთავარ საექსპერტო სამმაროველოსთან, ითვლებოდა ექსპერტად გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების განხრით. 2006 წლიდან არის განათლების სამინისტროს ნაციონალური სამეცნიერო ფონდის ექსპერტი.

ბატონი გივი დანელია ითვლება მცოდნე და ერუდირებულ სპეციალისტად სამშენებლო დარგში, მას ხშირად იწვევენ სამშენებლო-საპროექტო ფირმები როგორც საპროექტო სამუშაოების შესასრულებლად, ასევე სამშენებლო-ტექნიკური საკითხების გადასაწყვეტად მშენებლობაზე.

ზემოთადნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდაციას ვუწევთ პროფესორ გივი დანელიას მისთვის ექსპერტიზის ჩატარებაზე უფლების მინიჭებაზე.

სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტის
დეკანი, ტექნიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი ზურაბ გუდუნიძე

ცნობა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ გივი დანელიას საექსპერტო საქმიანობის თაობაზე 2006 წლიდან ბოლო 5 წლის პერიოდში ექსპერტიზა შესრულებულია საპროექტო დოკუმენტაციის სამშენებლო კონსტრუქციებში

№	ობიექტის დასახელება	წელი	შემსრულებელი
1	2	3	4
1.	ქ. ბათუმში, რუსთაველის გამზ. №18-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის კონსტრუქციების გაანგარიშების შესახებ შენობის ერთი სართულით გაზრდის შემთხვევაში	2007	შპს „გენერალური ბიზნესი“
2.	ქ. თბილისში, ბაგები წყნეთის გზატკეცილის №37-ში, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი	2008	"მშენეკონომეფექტი"
3.	ქ. ბათუმი ხიმშიაშვილის №20 9-12 სართულიანი საცხოვრებელი სახლი	2008	შპს „აჭარასპეცპროექტი“
4.	ქ. თბილისი რუსთაველის გამზირზე ეროვნული გალერეის რეკონსტრუქცია	2009	შპს „მმ პროექტი“
5.	ქ. თბილისში, ნუბინაშვილის ქ. №63-ში მშენებარე საოფისე შენობის სტატიკური და დინამიური გადაანგარიშების შესახებ მზიდი კარკასის ერთი სართულით გაზრდის შემთხვევაში	2010	შპს „არსი“
6.	ქ. თბილისი ანაგის ქ. №41 8-9 სართულიანი საცხოვრებელი სახლები	2010	იმ „გურამ ბიძინაშვილი“
7.	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფ. სუფსის ცემენტის წისქვილი	2010	შპს „ტუოვი“
8.	შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის კუთვნილი შენობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე	2010	შპს „მშენ-ექსპერტი“
9.	ვანის ქ. №4-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ბოლო სართულზე მდებარე სამი ბინის გადახურვის რეკონსტრუქციის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე	2011	შპს „საქართველოს ტექნიკური ჯგუფი“
10.	ქ. ქობულეთში, მეგობრობის ქ. №2-ში ამჩანაგობა „შავი ზღვა XXI“-ის საცხოვრებელი კორპუსის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე	2011	–

1	2	3	4
11.	ქ. მარნეულში შპს „დოგანი“-ს რკინიგზის მისასვლელი ხაზის მშენებლობის კონსტრუქციულ ნაწილზე	2011	შპს „დოგანი“
12.	ქ. თბილისში, მარუხის გმირების №37-ში, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე	2011	საპროექტო ფირმა „გოდაკო“
13	ქ. თბილისში, გმირ კურსანტთა ქ. №1-ში პოლიციის აკადემიის ტერიტორიაზე 300 ადგილიანი სასადილოს პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე	2011	შპს „უნივერსალი“

საქართველოს რესპუბლიკა
მოქალაქის პირადობის მოწმობა



პირადი № 01024019604
სახელი [illegible]
გვარი [illegible]
დაბადების თარიღი 30.09.19[illegible]
დაბადების ადგილი თბილისი
[illegible] ——
მფლობელის ხელმოწერა

№ J 0166686

[illegible] ——

მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება თბილისის საბურთალო
რ-ნის შ/ს სამმართველო
გაცემის თარიღი 02.05.1997წ
მოქმედების ვადა
უვადო
ხელმძღვანელის ხელის მოწერა

საქართველოს მოქალაქის
რეგისტრაციის მოწმობა ა 110543
ძალაშია პირადობის მოწმობასთან ერთად
სახელი [illegible]
გვარი [illegible]
პირადი № 01024019604
მისამართი: თბილისი, [illegible]
[illegible]

რეგისტრაციის ორგანოს დასახელება
თბილისის საბურთალოს რ-ნის შ/ს სამმ[illegible]
ხელმძღვანელის ხელის მოწერა
« 06 » მაისი
გაცემის თარიღი

თბილისის საბურთალოს [illegible]
[illegible]
12 ... 66
ხელმოწერა

საქართველოს
ტექნიკური
უნივერსიტეტი

GEORGIAN
TECHNICAL
UNIVERSITY

Phone: (995 32) 365093
Fax: (995 32) 942033
www.gtu.edu.ge
info@gtu.edu.ge

0175, საქართველო, თბილისი, კოსტავას 77
77, Kostava str., Tbilisi, Georgia, 0175

„01" .ოქტომბერი 2006

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის გივი დანელიასათვის საინჟინრო-გეოლოგიის, ფუძეებისა და საძირკვლების საპროექტო დოკუმენტაციის ექსპერტიზის ჩატარებაზე უფლების მინიჭების თაობაზე

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 აგვისტოს ბრძანების №1-1/823 "განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობის პროექტების სავალდებულო ექსპერტიზის ჩატარების დროებითი წესის შესახებ" ექსპერტიზის ჩამტარებელ პირებს უნდა გააჩნდეთ შესაბამისი სპეციალობის უმაღლესი საინჟინრო განათლება, ასევე სპეციალობით ნამსახურეი 10 წლის სტაჟი; აგრეთვე საპროექტო დოკუმენტაციაზე საექსპერტო სამუშაოების შესრულების 5 წლის გამოცდილება.

აღნიშნულ პირობებს სრულად აკმაყოფილებს სამშენებლო ფაკულტეტის გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების კათედრის პროფესორი გივი დანელია დანართ №1-ში ჩამოთვლილი 1 და 2 პუნქტების შესატყვისობით, სახელდობრ

- სამოქალაქო და საზოგადოებრივი შენობა ნაგებობები;
- სამრეწველო შენობა-ნაგებობები;

ბატონ გივი დანელიას როგორც სამეცნიერო-პედაგოგიური, ასევე პროექტირების დარგში 45 წლის სტაჟი გააჩნია, რაც კარგად ჩანს მისი ბიოგრაფიული მონაცემებიდან.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი გივი დანელია სამშენებლო ფაკულტეტზე მუშაობს 1970 წლიდან დღემდე გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების კათედრაზე.